



# სამუშაო

## მუშაობა ჟენევაში

თქვენ ხართ ახალი ჩამოსული ჟენევაში და ხართ ჰოსპის ჟენერალის ბენეფიციარი. გაქვთ შეკითხვები სამსახურთან დაკავშირებით? ეს დოკუმენტი მოგაწოდებთ შემდეგ ინფორმაციებს :

- მაქვს მუშაობის უფლება?
- როგორ მოვძებნო სამსახური?
- როგორ მოვიპოვო სამუშაო უფლება?
- მჭირდება წერილობითი ხელშეკრულება?
- და ხელფასი?
- სად შემიძლია მივიღო დამატებითი ინფორმაციები?

## მაქვს მუშაობის უფლება?

შეამოწმეთ კანტონური მოსახლეობის და მიგრაციის ოფისში (OCPM) თუ გაქვთ მუშაობის უფლება, ეს დამოკიდებულია თუ რა ტიპის საბუთი გაქვთ.

- ლტოლვილის საბუთი B / საბუთი F (ლტოლვილი ან დროებით ცამოსული)  
→ კი
- საბუთი N → კი 3 თვის შემდეგ

კანტონს შეუძლია შეზღუდოს ნებართვების გაცემა, სამუშაო ბაზრის ბალანსის შესაბამისად.

ყველა სხვა საბუთი, შეამოწმეთ პირობები OCPM- ში!

## როგორ მოძებნოთ სამსახური?

თუ ეძებთ სამსახურს ჟენევაში, თქვენ უნდა:

- დარეგისტრირდეთ დასაქმების სააგენტოში,
- უპასუხოთ სამსახურის შეთავაზებებს ინტერნეტში და გაზეთებში,
- ეწვიეთ იმ კომპანიების ვებსაიტებს, რომლებიც თქვენთვის საინტერესოა და დაეკონტაქტეთ ან გაუგზავნეთ "სპონტანური შეთავაზებები".

**შენიშვნა:**

აცნობეთ თქვენს ქსელს, რომ ეძებთ სამუშაოს.

არსებობს პრაქტიკული სახელმძღვანელოები, რომელიც დაგეხმარებათ ნაბიჯების გადადგმაში. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებსაიტს Bonjour Genève.

## როგორ მიმართოთ :

სამუშაოს შეთავაზებაზე პასუხის გასაცემად, დამსაქმებელთა უმეტესობა მოგთხოვთ, გამოაგზავნოთ "განაცხადის ფაილი" შემდეგი დოკუმენტებით:

- სამოტივაციო წერილი
- თქვენი სი ვი (CV)
- დიპლომების /ატესტატების ასლი
- სამუშაო სერთიფიკატის ასლი

თუ დაინტერესდებიან თქვენი დოსიეთი, დაგიკავშირდებიან გასაუბრებისთვის.

## როგორ მიიღოთ მუშაობის უფლება?

ქენევაში მუშაობის უფლების მისაღებად, უნდა:

- **ლტოლვილის საბუთი B / საბუთი F (ლტოლვილი ან დროებით ცამოსული)**  
გააკეთეთ მარტივი განცხადება მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს ოფიციალურ გვერდზე შესავსები ფორმის გამოყენებით. ეს ინფორმაციები შეგიძლიათ იპოვოთ ვებსაიტზე Bonjour Genève.
- **საბუთი N**  
შეავსეთ შემდეგი ფორმა და მიმართეთ OCPM-ს რათა მოიპოვოთ უფლება. ეს ფორმა შეგიძლიათ იპოვეთ ვებსაიტზე Bonjour Genève.

## მჭირდება წერილობითი ხელშეკრულება?

თუ დაგიქირავენ, უნდა მოითხოვოთ წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც მითითებულია (ხელშეკრულების ხანგრძლივობა, სამუშაოს პროცენტი, ხელფასის ოდენობა, სოციალური გამოქვითვები და ა.შ.).

**რატომ?**

დავის შემთხვევაში, თავს დაიზღვევთ.

## და ხელფასი?

ხელფასები, როგორც წესი, ირიცხება თვის ბოლოს დამსაქმებლის მიერ თქვენს საბანკო ან საფოსტო ანგარიშზე.

**შენიშვნა:**

ხელფასის ანაზღაურების ასლი უნდა გაუგზავნოთ თქვენს სოციალურ მუშაკს. თანხის ოდენობიდან გამომდინარე, ის აგიხსნით ცვლილებებზე.

**რჩევა:**

ფრთხილად იყავით ავტორიზაციის გარეშე მუშაობის შედეგებზე!

**უკანონოა, ასე რომ:**

- ნეგატიურად იმოქმედებს საცხოვრებელი საბუთის მოთხოვნაზე.
- დაზრვევა არ მოქმედებს დაშავების შემთხვევაში
- უნდა აანაზღაუროთ ჰოსპის ჟენერალს მიერ მიღებული დახმარება მუშაობის პერიოდის განმავლობაში

**სად შემიძლია ვიპოვო მეტი ინფორმაცია?**

**იხილით საინფორმაციო ბროშურა**